

დამტკიცებულია: 2018 წლის 30.04.2018

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საექსპერტო კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის სამუშაოთა ორგანიზებისა და ჩატარების, მათი სამეგრელოს რეგიონალურ არქივში გადასაცემად მომზადების მიზნით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია (სკ);

2. მუდმივმოქმედი კომისია სათათბირო ორგანოა, რომლის გადაწყვეტილებები ძალაში შედის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ.

3. კომისია ხელმძღვანელობს „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ საქართველოს კანონით, „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანებით“, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანებით „დაწესებულებათა საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. საექსპერტო კომისიის ფუნქციები

1. კომისია ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) საქმისმწარმოებელთან და საარქივო საქმეზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ორგანიზებას უწევს და ატარებს სასწავლო უნივერსიტეტის დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას, (განაცალკავებს ერთმანეთისაგან მუდმივად შესანახ, ხანგრძლივად შესანახ, მათ შორის პირადი შემადგენლობის და გასანადგურებლად გამოსაყოფ საქმეებს) ახორციელებს კონტროლს საქმისმწარმოებაზე.

2. განიხილავს და გადაწყვეტილებები გამოაქვს მოწონების, დასამტკიცებლად ან შესათანხმებლად წარდგენის შესახებ:

ა) მუდმივად შესანახ, ხანგრძლივად შესანახ და პირადი შემადგენლობის საქმეთა ანაწერებზე.

ბ) გასანადგურებლად გამოსაყოფ იმ საქმეთა აქტებზე რომელთა შენახვის ვადა ამოწურულია.

3. მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის საქმეთა ნომენკლატურის, არქივისა და საექსპერტო კომისიის დებულების შედგენასა და განხილვაში.

4. განიხილავს წინადადებებს ტიპობრივი დოკუმენტების ნუსხასა და მოქმედ ნომენკლატურაში გაუთვალისწინებელი დოკუმენტების შენახვის ვადების დადგენის თაობაზე და გამოაქვს გადაწყვეტილებები მათი სამეგრელოს რეგიონულ არქივისათვის შესათანხმებლად წარდგენაზე.

მუხლი 3. კომისიის უფლებები

1. კომისიას უფლება აქვს:

ა) არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად მითითება მისცეს დოკუმენტებთან მომუშავე პირებს საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ორგანიზაციის, მათი შემფასებელი ექსპერტიზისა და შემდგომი შენახვისათვის გადასაცემად მომზადების საკითხებზე;

ბ) სხდომებზე მოისმინოს პასუხისმგებელი პირებისგან ინფორმაციები დოკუმენტების გაფორმებისა და საქმეთა ფორმირების, ხარისხის, საქმეთა აღრიცხვისა და დაცვის უზრუნველყოფის საკითხებზე;

გ) ინფორმაცია მიაწოდოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს არსებული დოკუმენტების არსებობის, მდგომარეობის და კომისიის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.

მუხლი 4. კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

1. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს სამეგრელოს რეგიონულ არქივის საექსპერტო კომისიასთან და იღებს მისგან საჭირო საორგანიზაციო-მეთოდოლოგიურ მითითებებს.

2. კომისია თავის საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს.

3. კომისიის საქმიანობა და კომპეტენციის საკითხები განიხილება მის სხდომებზე, რომელიც ტარდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.

4. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, სხდომები ფორმდება ოქმებით, ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

5. სამეგრელოს რეგიონული არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიის მიერ აუცილებელ დამტკიცებას ექვემდებარება;

ა) კომისიის გადაწყვეტილებები მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ (10 წელზე მეტხანს)

საქმეთა ანაწერების მოწონების საკითხებზე;

ბ) წინადადებები მოქმედ ნუსხებსა და საქმეთა ნომენკლატურაში გაუთვალისწინებელი დოკუმენტების შენახვის ვადების დადგენის საკითხებზე;

გ) საექსპერტო კომისიის საქმისწარმოებას უძღვება და მისი დოკუმენტების შენახვას ახორციელებს კომისიის მდივანი.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის წესი

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

მ ო წ ო ნ ე ბ უ ლ ი ა

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საექსპერტო კომისიის მიერ

ოქმი № ¹ ~~26~~ 04 2018 წ

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა

სამეგრელოს რეგიონული არქივის საექსპერტო კომისიის მიერ

ოქმი № ² ~~26~~ 04 2018 წ